საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9408/01
05/10/2020

9408-01-2-202010051013

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“

მის: ქ. ბათუმი, ი. აბაშიძის ქ. N6, ბ 2-3

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 28 სექტემბრის №15258 წერილი, რომელიც ეხება შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ „სხალთა ჰესი“-ს ქვესადგურის „შუახევი ჰესი“-ს ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის გათვალისწინებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 10 სექტემბრის N8662/01 წერილში აღნიშნული შენიშვნა კერძოდ:

- სკრინინგის განცხადების თანახმად, „შეცვლილია N72 და N73 ანძების ადგილმდებარეობა, კერძოდ: N72 ანძა გადატანილია 46 მეტრით ჩრდილოეთის მიმართულებით განთავსებულია 2019 წელს მიღებული პროექტის ბუფერის საზღვარზე. N73 ანძა გადატანილია 18 მ-ით, მაგრამ განთავსებულია ძველ ბუფერში. ამ მონაკვეთზე ამოვარდნილია 2019 წლის პროექტით განსაზღვრული 1 ანძა“, თუმცა თანდართული ნახაზის მიხედვით, აღნიშნულ მონაკვეთზე ამოღებულია ორი ანძა, 2019 წლის ნუმერაციით N73 და N74, ხოლო გადაადგილებულია 18 მეტრით N 75 ანძა. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ უზრუნველყოფს

განახლებული/სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში განმეორებით წარმოდგენას აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე